დებულება – დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება წარმოადგენს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წევრობაზე დაფუძნებულ სტუდენტურ გაერთიანებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ", ბსუ-ს წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.

1.2. ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება აერთიანებს ბსუ-ს „საგანმანათლებლო პროგრამების" სტუდენტებს.

1.3. საზოგადოების სახელწოდება: „სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ".

1.4. სტუდენტური გაერთიანების ელექტრონული ფოსტის მისამართი: SSS@BSU.EDU.GE

1.5. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:

ა) სტუდენტებში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ორგანიზება;

ბ) ბსუ-ში სტუდენტთა შიდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება;

გ) საჯარო ლექციების, სემინარების, ტრეინინგებისა და სეზონური სკოლების მოწყობა/ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კვლევითი უნარ-ჩვევების ამაღლებას;

დ) რეგიონალურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სასტიპენდიო კონკურსებსა და კვლევით საგრანტო პროექტებში სტუდენტთა ინფორმირებისა და ჩართულობის ამაღლება;

ე) ბსუ-ს სტუდენტთა ინტეგრაცია რეგიონალურ და საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით წრეებში;

ვ) მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებსა და სხვა სახის ღონისძიებებში, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტებში სამეცნიერო შესაძლებლობების ზრდას;

1.6 სტუდენტებში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის ინიციატივით ან/და რეკომენდაციით მიმართოს ბსუ-ს მმართველობით ორგანოებს;

მუხლი 2

საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

№	სტუდენტი	საგანმანათლებლო პროგრამა	№	სტუდენტი	საგანმანათლებლო პროგრამა
	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი			**იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**	
1	ბალაძე დავით	ეკონომიკა	1	ჩხაიძე გია	სამართალმცოდნეობა
2	დიასამიძე ავთანდილ	ეკონომიკა	2	მოსიძე თეონა	სამართალმცოდნეობა
3	ბერიძე არჩილ	ეკონომიკა	3	გორგაძე ხატია	ფსიქოლოგია
4	ბერიძე თამუნა	ბიზნესის ადმინისტრირება	4	აბულაძე ეფემია	ფსიქოლოგია
5	ბარამიძე რუსუდან	ბიზნესის ადმინისტრირება	5	მგელაძე მაგდა	ფსიქოლოგია
6	სურმანიძე მამუკა	ბიზნესის ადმინისტრირება	6	აბაშიძე ამირან	ევროპისმცოდნეობა
	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი			**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი**	
1	ბერიძე ხატია	ინგლისური ფილოლოგია	1	ჯაფარიძე ლინდა	ეკოლოგია
2	ბაციკაძე გიორგი	ისტორია	2	ბროლაძე მარიკა	ბიოლოგია
3	ბახტაძე მარიზა	ქართული ფილოლოგია	3	მიქელაძე ერეკლე	სტომატოლოგია
4	კოსოლიძე ნინიკო	ინგლისური ფილოლოგია	4	ჩიკვაიძე ელიზა	მედიცინა
	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი			**ტექნოლოგიური ფაკულტეტი**	
1	ჩხარტიშვილი თეა	დაწყებითი განათლება	1	ბოლქვაძე გიორგი	აგრონომია
2	ყაჭეიშვილი ნინო	დაწყებითი განათლება		**ტურიზმის ფაკულტეტი**	
3	ილარიშვილი შალვა	მათემატიკა	1	ძირკვაძე სოფო	ტურიზმი

მუხლი 3
საზოგადოების მართვა

3.1 საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საერთო კრება;
3.2 საერთო კრება უფლებამოსილია თუ მის მუშაობაში მონაწილეობს წევრთა ნახევარზე მეტი;
3.3 საერთო კრება საქმიანობა წარიმართება რეგლამენტის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საერთო კრება მის დაწყებამდე;
3.4 კრების ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. იგი პასუხს აგებს კრების ოქმის სიზუსტესა და ნამდვილობაზე.
3.5 საერთო კრებები აღირიცხება საზოგადოების საერთო კრებების აღრიცხვის ჟურნალში. ჟურნალში უნდა მიეთითოს:
ა) კრების რიგითი ნომერი;
ბ) კრების ჩატარების თარიღი და ადგილი;
დ) ჩანაწერის შემსრულებელი პირის ვინაობა და ხელმოწერა.
3.6 საერთო კრების აღრიცხვის ჟურნალის წარმოებას უზრუნველყოფს კრების თავმჯდომარე.
3.7 საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:
ა) საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, გეგმებისა და მიზნობრივი პროგრამების დამტკიცება;
ბ) საზოგადოების საქმიანობის სემესტრული და წლიური ანგარიშების დამტკიცება;
გ) საზოგადოების გამგეობის წევრებისა და საზოგადოების ხელმძღვანელის არჩევა და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;
დ) საზოგადოების სტრუქტურული ერთეულების დებულებების და ინსტრუქციების მიღება, მათი უფლებამოსილებების ფარგლების დადგენა;
ე) საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმება;
ვ) საზოგადოების წესდებით საერთო კრებისათვის განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
3.8 საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საერთო წევრთა1/2-ისა;
3.9 საზოგადოების მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს საზოგადოების ყველა წევრის ხმათა არანაკლებ ოთხ მეხუთედს, წესდების შეცვლის შემთხვევაში - 2/3-ს;
3.10 დებულებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საზოგადოების ხელმძღვანელს.
3.11 კრების მოწვევის პროცედურა:

ა) კრებას იწვევს საზოგადოების ხელმძღვანელი წელიწადში არანაკლებ ორჯერ;
ბ) რიგგარეშე კრება მოიწვევა საზოგადოების წევრთა მეათედის წერილობითი მოთხოვნით, ან გამგეობის გადაწყვეტილებით;
გ) კრების მოსაწვევს, ან ინფორმაციას საერთო კრების მოწვევის შესახებ თან უნდა დაერთოს დღის წესრიგი.
დ) საერთო კრების მოწვევის შესახებ წევრებს უნდა ეცნობოთ საერთო კრებამდე ერთი კვირით ადრე მაინც. (შეტყობინება შესაძლოა გაგზავნილი იქნას ელექტრონული ფოსტითაც) ;

მუხლი 4
საზოგადოების ხელმძღვანელობა
წარმომადგენლობა

4.1 საზოგადოების ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას ახორციელებს გამგეობა (შემდგომ ტექსტში - „გამგეობა“), რომელიც არის „აკადემიურობის“ და „კეთილსინდისიერების“ პრინციპზე მოქმედი მმართველობითი ორგანო;
4.2 გამგეობის სხდომები ტარდება საჭიროებებიდან გამომდინარე, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელის მოწვევით;
4.3 გამგეობა შედგება ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან წარმომადგენლების მიერ არჩეული წევრებისგან;
4.4 გამგეობის წევრებს ფაკულტეტის შესაბამისი პროგრამ(ებ)ის წარმომადგენელები ირჩევენ 6 თვის ვადით. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე, მაგრამ არაუმეტეს 9 (ცხრა) თვისა;
4.5 გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
4.6 გამგეობა:
ა) იწვევს და ატარებს საერთო კრებას, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ სულ მცირე შვიდი დღით ადრე აცნობებს საზოგადოების წევრებს;
ბ) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს საზოგადოების იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება, ან არ შეესაბამება საზოგადოების მიზნებს ან არღვევს დებულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
გ) ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;

ვ) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
ზ) ამტკიცებს საზოგადოების მიერ გაწეული საქმიანობის პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის წარსადგენად;
თ) ბსუ-ს მმართველობით ორგანოებს აბარებს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების შუალედურ (სემესტრულ) და წლიურ ანგარიშს (ბსუ-ს მმართველობით ორგანოების მიერ მოცემულ შენიშვნებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი);
მ) ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოების ორგანიზაციულ ს ტრუქტურას;
ო) ამზადებს საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებს და მიზნობრივი პროგრამებს;
პ) ისმენს გამგეობის მიერ დანიშნული პირების ანგარიშს;

4.7 გამგეობის სხდომას ხელმძღვანელობს საზოგადოების ხელმძღვანელი, რომელიც წარიმართება გამგეობის მიერ დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად. სხდომის ოქმს ხელს აწერენ საზოგადოების ხელმძღვანელი და გამგეობის წევრები. სხდომის ოქმს ენიჭება ნუმერაცია და თარიღი ასოციაციის გამგეობის სხდომების ჟურნალის შესაბამისად.

4.8 საზოგადოების ხელმძღვანელი, გამგეობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ახორციელებს საზოგადოების წევრთა რეესტრის წარმოებას.

4.9 გამგეობის წევრები არიან:

ა) სახელი გვარი,	ფაკულტეტი,	პირადი ნომერი
ბ) სახელი გვარი,	ფაკულტეტი,	პირადი ნომერი
გ) სახელი გვარი,	ფაკულტეტი,	პირადი ნომერი
დ) სახელი გვარი,	ფაკულტეტი,	პირადი ნომერი
ე) სახელი გვარი,	ფაკულტეტი,	პირადი ნომერი
ვ) სახელი გვარი,	ფაკულტეტი,	პირადი ნომერი
ზ) სახელი გვარი,	ფაკულტეტი,	პირადი ნომერი

მუხლი 5
<u>სტუდენტთა სამეცნიერო</u>
<u>საზოგადოების ხელმძღვანელი</u>

5.1 საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელი. საზოგადოების ხელმძღვანელის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი ხელმძღვანელის არჩევამდე.

5.2 საზოგადოების ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას:
ა) წარმართავს საზოგადოების საქმიანობას დებულების მიზნების მისაღწევად;
ბ) ხელმძღვანელობს საზოგადოებას და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ყველა სამართლებრივ ურთიერთობებში;
გ) ხელმძღვანელობს საზოგადოების პროექტების შედგენას და მათი განხორციელების პროცესს;
დ) ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერია ლური ქონების მართვას;
ვ) უძღვება საზოგადოების წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;
ზ) ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტებს;
თ) გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების ორგანიზაციულ ს ტრუქტურას;
ი) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.
5.3 საზოგადოების ხელმძღვანელს უფლება არა აქვს ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელებას, ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.
5.4 საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილებას საზოგადოების ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელის მოადგილე.
5.5 საზოგადოების ხელმძღვანელის მოადგილე აირჩევა საერთო კრების მიერ, ხმათა უმრავლესობით. საზოგადოების ხელმძღვანელის მოადგილეს საერთო კრების წინაშე წარადგენს საზოგადოების ხელმძღვანელი.

მუხლი 6
საზოგადოების წევრობა/წევრთა უფლებები და მოვალეობები

6.1 ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება წევრი შეიძლება იყოს:
ა) ბსუ-ს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელიც სწავლობს საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამაზე;
ბ) სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ახალი წევრები აირჩევა ყოველი ახალი სასწავლო წლის კენტ სემესტრში, წელიწადში ერთხელ - ბსუ-ს ფაკულტეტების მიხედვით;

გ) სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ახალი წევრების მიღების ქვოტას განსაზღვრავს გამგეობა და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.
დ) სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ახალი წევრები აირჩევა საერთო კრების მიერ დამტკიცებული კომისიის მეშვეობით, საამისოდ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად;
ე) ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ახლად არჩეულ წევრთა სიას ამტკიცებს საერთო კრება, რომელსაც უნდა ესწრებოდეს საზოგადოების წევრთა მინიმუმ 2/3;
ვ) ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრს უფლებამოსილება უწყდება - შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში: 1) პირადი განცხადების საფუძველზე; 2) სტუდენტის აქტიური სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში; 3) საზოგადოების დებულების დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით;
6.2 ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრს უფლება აქვს:
ა) მიიღოს მონაწილეობა ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, გეგმების, პროგრამების, პროექტებისა და სხვა აქტიურობების შემუშავებასა და განხორციელებაში;
ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მმართველ ან მაკონტროლებელ ორგანოებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
გ) დაასახელოს ასარჩევ პირთა კანდიდატურები;
დ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობის შესახებ შესაბამისი პირებისგან;
ე) ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრები თავისუფალნი არიან ჩაერთონ სხვადასხვა სახის საუნივერსიტეტო საქმიანობაში, გამოხატონ საკუთარი პოზიცია ან/და გააკეთონ საჯარო განცხადება, თუ ის არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ დებულებას.
6.3 ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი მოვალეა:
ა) დაიცვას ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების დებულება;
ბ) შეასრულოს მმართველი და მაკონტროლებელი ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაწყვეტილებები;
გ) პროპაგანდა გაუწიოს ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მიზნებს;
დ) წელიწადში ორჯერ წარმოადგინოს სემესტრული ანგარიში იმ ღონისძიებების და/ან აქტიურობების შესახებ რომელშიც თვითონ იყო ჩართული;

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე დებულება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. თუ ამ დებულება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე მუხლი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს დებულების სხვა მუხლის ნამდვილობაზე.

7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შირის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

№	სტუდენტი	ხელმოწერა	№	სტუდენტი	ხელმოწერა
	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი			იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	
1	ბალაძე დავით	----------	1	ჩხაიძე გია	----------
2	დიასამიძე ავთანდილ	----------	2	მოსიძე თეონა	----------
3	ბერიძე არჩილ	----------	3	გორგაძე ხატია	----------
4	ბერიძე თამუნა	----------	4	აბულაძე ეფემია	----------
5	ბარამიძე რუსუდან	----------	5	მგელაძე მაგდა	----------
6	სურმანიძე მამუკა	----------	6	აბაშიძე ამირან	----------
	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი			საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	
1	ბერიძე ხატია	----------	1	ჯაფარიძე ლინდა	----------
2	ბაციკაძე გიორგი	----------	2	ბროლაძე მარიკა	----------
3	ბახტაძე მარიზა	----------	3	მიქელაძე ერეკლე	----------
4	კოსოლიძე ნინიკო	----------	4	ჩიკვაიძე ელიზა	----------
	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი			ტექნოლოგიური ფაკულტეტი	
1	ჩხარტიშვილი თეა	----------	1	ბოლქვაძე გიორგი	----------
2	ყაჭეიშვილი ნინო	----------		ტურიზმის ფაკულტეტი	
3	ილარიშვილი შალვა	----------	1	ძირკვაძე სოფო	----------